

არაფორმალური ურთიერთობების გავლენა სამუშაოს შესრულებაზე
ფორმალურ ორგანიზაციაში

ქრისტინე გიორგაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: საბა ჯაჯანიძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ქრისტინე გიორგაძე 2022

აბსტრაქტი

სამუშაოს შესრულების ხარისხს ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამშრომლებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. ხშირად ფორმალურ ორგანიზაციაში, სადაც მკაცრად გაწერილი წესებია, წარმოიქმნება არაფორმალური ურთიერთობები, რომლებიც აისახება ორგანიზაციის მუშაობის ხარისხზე. კვლევის თემა შეირჩა, რათა გამომჟღავნებულიყო თუ როგორ გავლენას ახდენს არაფორმალური ურთიერთობები სამუშაოს შესრულებაზე ფორმალურ ორგანიზაციაში. საინტერესოა კვლევა იმისა, დადებითად აისახება თუ უარყოფითად მსგავსი არაფორმალური შიდა ურთიერთობები ორგანიზაციის მუშაობის ხარისხზე. კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდით, ობიექტებად შეირჩა საქართველოში წამყვანი სუპერმარკეტები "კარფური" და "ნიკორა". საწყისი ჰიპოთეზა გამართლდა და რესპოდენტების ანალიზის მიხედვით აღმოჩნდა, რომ არაფორმალური ურთიერთობები, მოცემული კომპანიების თანამშრომლებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს, რაც საბოლოოდ თანამშრომლების უთანასწორო მოპყრობას იწვევს და სამუშაო გარემოს სტრესულს ხდის.

Abstract

The research topic was selected to reveal what impact informal relationships have on job performance in a formal organization. Quality of work performance depends of different factors, one of the most important factor is relationships between employees. In a formal organization, where the written rules are in place, informal relationships arise, which effects the quality of the organization's work. It is interesting to study does it has a positive or negative impact of organization. The research was conducted by the method of qualitative research, Carrefour and Nikora, the leading supermarkets in Georgia, were selected as objects. The initial hypothesis was justified and according to the analysis of the respondents, informal relationships put the employees of the given companies in an unequal position, which ultimately leads to unequal treatment of employees and makes the work environment stressful.